



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №5

2014 წლის 28 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N104 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) განკარგულების პირველი მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ჰუმანიტარული ორგანიზაციების, ეროვნული სკრინინგ ცენტრის თანადაფინანსების, ცენტრის დასკვნის საფუძველზე პაციენტთა სამედიცინო დაწესებულებაში დამატებითი გამოკვლევისათვის ტრანსპორტირების, სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტის ბინით უზრუნველყოფის პროგრამა“;

ბ) განკარგულების პირველი მუხლის მე-10 პუნქტით დამტკიცებული დანართი N10 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი